ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის შეთანხმება მეგობრობაზე, ალიანსა და უერთიერთდახმარებაზე (1950-1980წწ.)

ნელი ახობაძე
სინოლოგი, ჩინეთის ისტორიის მკვლევარი,
ჩინეთის კვლევების კავკასიური ასოციაცია,
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, თბილისი, ილია ჭავჭავაძის
გამზირი № 1,0179, საქართველო,
+995598172377. mychinesestories@gmail.com
https://orchid.org/0000-0002-3199-1092

აბსტრაქტი

მეოცე საუკუნე ჩინეთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე რთული პერიოდია. ამ პერიოდში ჩინელებმა ოთხი მთავარი მართველი ძალა გამოიცვალეს, 1911 წელს დაამხეს მონარქიული მმართველობა და დააარსეს ჩინეთის რესპუბლიკა ნაციონალური პარტიის იგივე კუომინტანგის (გუომინდანის) ხელმძღვანელობით, მალევე ეს პარტია სამხედრო ძალაუფლების მქონე მხედართმთავრებით ჩანაცვლდა, 1927 წლიდან ისევ კუომინტანგმა დაიბრუნა მმართველობა, 1949 წლიდან კი ჩინელმა კომუნისტებმა დაიკავეს ქვეყნის მართვის სადაავეები.

გარდა შიდა პოლიტიკური ცვლილებებისა, ქვეყნის საგარეო და ეკონომიკური მდგომარეობაც მუდმივად ცვალებადი და ჩინეთისთვის არც თუ სახარბიელო იყო. მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ჩინეთის ტერიტორიების ნაწილი კვლავ დასავლური ქვეყნებისა და რუსეთ-იაპონიის ხელთ იყო, ჩინელები ისევ სიღარიბეში და სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულნი რჩებო-

დნენ, 1931 წლიდან ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობა მძაფრდება, 1937-1945 წლებში კი მათ შორის ომი ოფიციალურად მიმდინარეობდა, ამ ომის დასრულების შემდეგ სამოქალაქო დაპირისპირება დაიწყო ჩინელ ნაციონალებსა და კომუნისტებს შორის, რომელიც კომუნისტური პარტიის გამარჯვებით დასრულდა 1949 წელს.

1949 წლის 1 ოქტომბერს დაარსდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ქვეყნის სათავეში კი კომუნისტები მოვიდნენ. მაო წეტუნგსა (მაო ძედუნსა) და სტალინს შორის არსებული პირადი დაპირისპირების მიუხედავად, მაომ აირჩია მთლიანად დაყრდნობოდა საბჭოთა კავშირს და 1950 წელს მოსკოვში გააფორმა ახალი ხელშეკრულება სახელად - „ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის შეთანხმება მეგობრობაზე, ალიანსსა და უერთიერთდახმარებაზე“, რომლის მსგავსი ჯერ კიდევ 1945 წელს იყო ხელმოწერილი სტალინსა და ძიანგ ძიეშის (ჩანგ კაიშის) შორის. ახალი შეთანხმება 30 წლის ვადით დაიდო, ეს პერიოდი კი შეიძლება სამ ნაწილად დავყოთ:

1950-1958 წლები - ჩინეთ-საბჭოთა ურთიერთობის მეგობრული პერიოდი.

1959-1969 წლები - მაოსა და ხრუშოვს შორის დაწყებული დაპირისპირებებიდან საომარ მოქმედებებამდე.

1970-1980 წლები - ჩუმი დაპირისპირება და მეგობრობის დასასრული.

კველევაში განხილულია ჩინეთ-საბჭოთა ურთიერთობები 1950-1980 წლებში, ხელშეკრულების გაფორმების წინაპირობიდან ვადის ამოწურვამდე, ზემოთ ნახსენები სამივე ეტაპი აღწერილია თანმიმდევრულად, ასევე მოყვანილია შედარება 1945 და 1950 წლის შეთანხმებებს შორის. ეს ყველაფერი დაეხმარება ქართულენოვან აუდიტორიას უფრო სიღრმისეულად გაიაზროს „ჩინურ-საბჭოური“ მეგობრობა, აღიქვას ეს ურთიერთობა უფრო ობუექტურად და გაეცნოს ჩინური მხარის მოსაზრებებსაც საბჭოთა კავშირთან დაკავშირებით.

საძიებო სიტყვები: ჩინელი კომუნისტები; ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა; ჩინეთ-საბჭოთა ურთიერთობა; მაო მოსკოვში;

შესავალი

ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობები, საბჭოთა კავშირის დაარსების დღიდან ცვალებადი და არაპროგნოზირებადი იყო. მიუხედავად ამისა, ამ ორ ქვეყნას შორის შეთანხმებების არ მიღწევა გარდაუვალი აღმოჩნდა როგორც ჩინეთის რესპუბლიკის, ისე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისთვის. ჩინეთში მმართველები იცვლებოდნენ, თუმცა მათი მეზობელი ქვეყანა არ იცვლებოდა. შესაბამისად, ჩინეთ-საბჭოთა კავშირს შორის ორჯერ გაფორმდა მსგავსი შინაარისისა და დასახელების ხელშეკრულება, პირველად ჯერ კიდევ 1945 წელს - „ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და ალიანსის შეთანხმება“, მეორედ კი 1950 წელს - „ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის, ალიანსისა და ურთიერთდახმარების შეთანხმება“.

ჩინეთის მხრიდან ხელშეკრულების გაფორმება ორივე შემთხვევაში გამოუვალი მდგომარეობის და მეზობელთან ურთიერთობის გაუმჯობესების მცდელობა იყო. თუმცა როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში მათი მშვიდობიანი და თანასწორი უფლებებით თანაარსებობა არც თუ ისე ადვილად მისაღწევი ან დასარეგულირებელი აღმოჩნდა. მიუხედავად მაო ძედუნის იგივე მაო წეტუნგის ამბიციისა, სტალინთან დაემყარებინა ბევრად უკეთესი ურთიერთობა, ვიდრე ეს ჩან კაიშის ჰქონდა და ჩინეთისთვის აშშ-ს დახმარება საბჭოთა დახმარებით ჩაენაცვლებინა, შეექმნა საბჭოთა კავშირის თანაბარი უფლებებით მოარსებე კომუნისტურ-სოციალისტური ჩინეთი, „უფროსი ძმისთვის“ მიუღებელი აღმოჩნდა. საბოლოოდ, კი მათი მეგობრობა ჩუმ, თუმცა გრძელვადიან დაპირისპირებაში გადაიზარდა.

მეთოდი

სტატია ეყრდნობა როგორც პირველად, ისე მეორეულ წყაროებს, ისტორიული შემეცნებისა და შედარებითი ანალიზის

მეშვეობით გაანალიზებული იქნა მონოგრაფიები, სამეცნიერო სტატიები და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ორი ქვეყნის ისტორიული კავშირის ობიქტური შეფასება და ჩინეთის დამოკიდებულების წარმოჩენა.

შედეგები

სტატია პირველი ქართულენოვანი ნაშრომია, რომელიც დეტალურად განიხილავს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის პირველი შეთანხმების წინაპირობას, შეთანხმების არსსა და შედეგებს. კვლევა გვაძლევს საშუალებას დავინახოთ არა მხოლოდ ამ ორი ქვეყნის ურთიერთობის ისტორია, არამედ ჩინეთის კომუნისტური პარტიისა და მაო წეტუნგის მიზანი და რეალური დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან მიმართებაში.

დისკუსია

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსება

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსება 1949 წლის 1 ოქტომბერს გამოცხადდა, თუმცა მაო წეტუნგმა ჯერ კიდევ 12 სექტემბერს გამართა ეროვნული პოლიტიკური საკონსულტაციო კონფერენცია, რომელზეც გამოაცხადა ახალი მთავრობისთვის მზადების დაწყება. ეს კონფერენცია 12 დღეს გაგრძელდა, შეიმუშავეს „ცენტრალური სახალხო ხელისუფლების ორგანული კანონ-პროექტი“ და „საერთო პროგრამა“. ამავე სხდომაზე გადაწყვიტეს ჩინეთის ახალი დროშის ფორმა და იდეა - უნდა ყოფილიყო წითელი, მარცხენა ზედა კუთხეში ერთი დიდი ხუთქიმიანი ყვითელი ვარსკვლავი და მის ირგვლივ ოთხი პატარა, ასევე ხუთქიმიანი ყვითელი ვარსკვლავები. დიდი ვარსკვლავი მიგვითითებს ჩინეთის კომუნისტური პარტიის ლიდერობაზე, ხოლო პატარა ვარსკვლავები წარმოადგენენ ოთხი კლასის, მუშების, გლეხების, წვრილი ბურჟუაზიისა და ეროვნული ბურჟუაზიის ალიანსს.

1 ოქტომბერს მაომ არა მხოლოდ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსება, არამედ დედაქალაქიც და მისი სახელის

ცვლილებაც გამოაცხადა, თუ მანამდე პეკინს ჩინურად პეიფინგს ეძახდნენ, ახლა უკვე პეიძინგი უნდა დაერქვათ.[89]

მეორე დღეს ჩინეთის ახალმა პრემიერმა ჭოუ ენლაიმ მიიღო პირველი მილოცვა საბჭოთა კავშირისგან, რომელშიც ასევე ატყობინებოდნენ, რომ საბჭოთა კავშირმა გადაწყვიტა დაემყარებინა საერთაშორისო ურთიერთობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან და უკვე ამზადებდა ელჩს იქ გასაგზავნად. ჩინელი ისტორიკოსების თანახმად, სწორედ, ამ დღეს გადაწყვიტა მაო წეტუნგმა საბჭოთა კავშირს დეკემბერში სტუმრებოდა.

მაო წეტუნგმა თავის სიცოცხლეში სულ ორჯერ დატოვა ჩინეთი, ორივე შემთხვევაში მიზანი და დანიშნულების ადგილი იყო საერთო - საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებების გამართვა. მისი პირველი ვიზიტი 1949 წლის 6 დეკემბრიდან 1950 წლის 4 მარტამდე განახორციელა, მიუხედავად ხანგრძლივი პერიოდისა, მოლაპარაკებებმა სულაც არ ჩაიარა ისე მარტივად, როგორც ელოდა.

მაო წეტუნგის სტრატეგიული არჩევანი - „ცალმხარეს დაყრდნობის“ პოლიტიკა

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ სტალინის მოლოდინები ჩინეთში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით განსხვავებული იყო, ის მაინც კუომინტანგს (გუომინდანს) ხედავდა ძლიერ პარტიად, მისი აზრით, ჩინეთის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ძალაუფლება ჩან კაიშის იგივე ძიანგ ძიეშის ხელთ იყო და ჩინელი კომუნისტური პარტიისა და მაო წეტუნგის იმედი ნაკლებად ჰქონდა. მეტიც, ჯერ კიდევ 1936 წელს, როდესაც მაო გახდა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ლიდერი, სტალინი არც კი აღიარებდა მას. მის თვალში მაო უფრო „მემარჯვენე“ ოპორტუნისტი და „პრომოსკოვური ფრაქციის“ მოწინააღმდეგე იყო. შესაბამისად, ის თავიდანვე სხვას - ვანგ მინგს თვლიდა ჩინეთის კომუნისტური პარტიის იდეალურ

[89] პეკინი ეს სახელწოდება ქართულში რუსულის გავლით შემოვიდა და დარჩა, შესაბამისად, ის გარკვეულწილად განსხვავდება როგორც ძველი ისე ახალი სახელწოდებისგან.

ლიდერად, ამ უკანასკნელს კი განათლება მოსკოვში ჰქონდა მიღებული და მისი „პრომოსკოვურობა“ ცნობილი იყო. შესაბამისად, მომდევნო პერიოდშიც კი, 1938-1945 წლებში, სტალინი იმედს იტოვებდა რომ ვანგ მინგი შეძლებდა მაოს ჩანაცვლებას.

მეორე მხრივ, არც მაო წეტუნგი ყოფილა სტალინის დიდი მოყვარული. ჩინეთის კომუნისტური პარტიის ლიდერებში მაო იყო იმ უმცირესობიდან, რომელიც არც საბჭოთა კავშირში იყო ნამყოფი, არც სტალინი და არც სხვა საბჭოთა ცნობილი კომუნისტები ენახა. 1936 წელს, როცა მისთვის უკვე აშკარა გახდა სტალინის წინააღმდეგობა მის ლიდერობასთან დაკავშირებით, ამერიკელ ჟურნალისტ ედგარ სნოუსთან ინტერვიუს დროს უკვე მკაფიოდ განაცხადა: „ჩვენ ჩინეთის კუომინტანგისგან გასათავისუფლებად ვიბრძვით და არა ჩინეთის მოსკოვისთვის გადასაცემად“ (Snow,1961:96). მაო სტალინთან პირად კონტაქტზე 1944 წლის მერეღა გავიდა, 1947 წელს კი გამოთქვა მასთან შეხვედრის სურვილი, მეორედ 1948 წელს, მესამედ კი 1949 წლის აპრილში შესთავაზა მაომ სტალინს შეხვედრა, თუმცა სტალინმა სამივეჯერ უარით გაისტუმრა. შესაძლოა ამის მიზეზი სტალინის პროგნოზი ყოფილიყო, რომლითაც ის გამარჯვებულს მაინც ძიანგ ძიეშს ხედავდა და წინასწარ კომუნისტების ლიდერთან ღია შეხვედრისგან თავს ამიტომაც იკავებდა, მიუხედავად იმისა, რომ ის ყველანაირად ეხმარებოდა კომუნისტებს გამარჯვების მოპოვებაში, როგორც ჩანს, ჩინეთის მეორე მხარესთან ურთიერთობის ღიად გაფუჭება მაინც არ შედიოდა მის ინტერესში.

მეორე მსოფლიო ომის დასრულებამდე, საბჭოთა არმიამ დაიკავა ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი და ჩინელ კომუნისტებს გადასცა იქ დარჩენილი იაპონური შეიარაღება, საბჭოელებმა კი ხელთ ჩაიგდეს 2 მილიარდი დოლარის ღირებულების სამრეწველო ობიექტები, 3 მილიარდი დოლარის ოქროს ზოდები და 850 მილიონი ე.წ. მანჯურიული მონეტები, ასევე მთელი ჩრდილო-აღმოსავლეთი მოაქციეს თავიანთი კონტროლის ქვეშ. 1945 წელს კი კუომინტანგის მთავრობასთან გააფორმეს „ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და ალიანსის შე-

თანხმება“ და კიდევ ერთხელ მოუწოდეს მაოს ძიანგ ძიეშისთან თანამშრომლობისკენ. ამ ყველაფერმა ჩინელი კომუნისტების უკმაყოფილება, რა თქმა უნდა, გაზარდა და შესაბამისად, გააქტიურდა ამერიკელებთან დაახლოების სურვილი. ჩინური წყაროები ამტკიცებენ, რომ მაო წეტუნგი და ჭოუ ენლაი სტალინთან და საბჭოთა კავშირთან ურთიერთობას აშშ-სთან კავშირს არჩევდნენ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მათ რამდენჯერმე სცადეს რუზველტთან კონტაქტზე გასვლა და მასთან საიდუმლო შეხვედრის შეთანხმება, თუმცა წარუმატებლად. მაო და ჭოუ მაინც განაგრძობდნენ „დიქსის მისიის“ პოლიტიკური ხელმძღვანელის ჯონ ს. სერვისის გადაბირებას აშშ-ს მხარდაჭერის მოსაპოვებლად. 1945 წლის 13 მარტს მაომ კიდევ ერთხელ გამოთქვა სერვისთან აშშ-სთან ურთიერთობის სურვილი. მაო ამბობდა, რომ აშშ-ს ეკონომიკური დახმარების გარეშე ვერ განავითარებდა ჩინეთს, მაგრამ ეს ეკონომიკური დახმარება არ შექმნიდა სამომავლო კონკურენციას ამ ორ ქვეყანას შორის და აშშ იქნებოდა ის ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც ექნებოდა შესაძლებლობა ჩარეულიყო ჩინეთის ეკონომიკაში. თუმცა აშშ მაინც ძიანგ ძიეშის უჭერდა მხარს და კუომინგტანგის მმართველობაში ხედავდა ჩინეთის მომავალს.

1949 წელს სტალინი ცდილობდა სინძიანგის დამოუკიდებლად გამოყოფასაც, ისევე როგორც 1921 წელს გარე მონღოლეთი გამოაცხადა ცალკე რესპუბლიკად, ის სინძიანგელებს პირობას აძლევდა, რომ აღიარებდა მათ და როგორც ავტონომიურ რესპუბლიკას, ისე შეუერთებდა საბჭოთა კავშირს. თუმცა ამ გეგმის განხორციელებაში სინძიანგში მყოფმა კუომინტანგის არმიამ შეუშალა ხელი. მოგვიანებით, 1962 წლის 28 სექტემბერს, მაო წეტუნგმა ჩინეთის კომუნისტური პარტიის მერვე ცენტრალური კომიტეტის მე-10 პლენარულ სხდომაზე გაიხსენა: „ჩინეთ-საბჭოთა დაპირისპირების ფესვები დიდი ხანია ჩამარხულია, მათ არ მისცეს ჩინეთს უფლება მოეწყო „კომუნიზმის“ რევოლუცია. 1945 წელს სტალინმა არ დაგვთანხმდა რევოლუციაზე, მეტიც გვითხრა არ უჭერდა მხარს სამოქალაქო ომს და უნდა

გვეთანამშრომლა ძიანგ ძიეშისთან, უნდა წავსულიყავით დათმობაზე. ჩვენ მაშინ არ დავუჯერეთ სტალინს და რევოლუციაც წარმატებულად დასრულდა“ (Xu,519).

მიუხედავად ამ ყველაფრისა, მაო წეტუნგმა გამარჯვების შემდეგ მაინც აირჩია „ცალმხარეს დაყრდნობის“ პოლიტიკა. ახლად შექმნილ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას არ ჰქონდა საკუთარი ძალებით ქვეყნის აღდგენის იმედი, ვერც ნეიტრალურობის შენარჩუნების ძალა შესწევდა, სჭირდებოდა ძლიერი მოკავშირე, რომელიც გაუწევდა მას ეკონომიკურ და პოლიტიკურ დახმარებას, რომელსაც მხოლოდ საბჭოთა კავშირისგან ელოდა. ამიტომ მაომ მალევე დაიწყო საბჭოთა კავშირში თავისი პირველი ვიზიტისთვის მზადება, ის იქ სამი თვის გატარებას გეგმავდა, პირველი თვე ლენინგრადის და სტალინგრადის მონახულებას, ხელშეკრულების გაფორმებას, სტალინთან მსოფლიო კომუნიზმის თეორიებისა და პრაქტიკის განხილვას აპირებდა; მეორე თვეში პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და რუმინეთის მოსანახულებლად წასვლას ფიქრობდა; მესამე თვე კი საბჭოთა კავშირში მკურნალობისთვის უნდოდა დაეთმო.

სტალინისა და მაოს პირველი შეხვედრა

1949 წლის დეკემბერში, მაო წეტუნგი ჩავიდა მოსკოვში სტალინის 70-ე დაბადების დღის მისალოცად, 1945 წლის შეთანხმების გასაუქმებლად, ახლის შესათანხმებლად და დახმარების სათხოვნელად. თუმცა სტალინმა იქ ჩასული მაო არაფრად ჩააგდო და მათი მოლაპარაკებაც რთულად წარიმართა. 16 დეკემბერს იაროსლავსკის მატარებლის სადგურზე მას ნიკოლაი ბულგანინი და ვიაჩესლავ მოლოტოვი დახვდნენ, რათა მანქანით წაეყვანათ მაო და მისი თანხმლები პირები სტალინის აგარაკზე. მაომ მათ შესთავაზა ერთი მანქანით წასვლა და თავისი ხელით მომზადებული ჩინური კერძით გამასპინძლება, თუმცა მათგან უარი მიიღო. ჩინელი ისტორიკოსების აზრით, მათი ეს ჟესტი ამაყი მაოსთვის უპატივცემულობად იქნებოდა აღქმული.

მაო იმ დღესვე მიიწვიეს სტალინის მიღებაზე, რომელზეც მან სტალინისა და საბჭოთა კავშირის მიმართ პატივისცემა გამოხატა, თუმცა საიდუმლო შეხვედრა სტალინთან, რომელსაც ასე ძალიან ელოდა არ შედგა. ამის შემდეგ მაო შეხვდა კოვალევს. კოვალევის მოხსენების მიხედვით, მაო სტალინისგან ითხოვდა: 16 სექტემბერს სტალინთან მაოს მიერ ნახსენებ საკითხებზე ცენტრალური საბჭოს დამოკიდებულების გაზიარებას; 23 ან 24 დეკემბერს შეხვედრის ჩანიშვნას; პოლიტსაბჭოს წევრებთან, მოლოტივთან, მიკოიანთან, ბულგანინსა და შვერნიკთან შეხვედრას და გასაუბრებას. გარდა ამისა, მაო წეტუნგი მოლაპარაკებების ორ გეგმას სთავაზობდა:

პირველი - მოეგვარებინათ ჩინეთ-საბჭოთა კრედიტის, ვაჭრობის, საჰაერო ტრანსპორტის ხელშეკრულებები და სხვა საკითხები. ამ ვარიანტისთვის, მაოს აზრით, საჭირო იყო ჭოუ ენლაის ჩამოყვანა მოსკოვში ხელშეკრულებებზე ხელის მოსაწერად, შემდეგ კი ჭოუ ენლაისთან ერთად წავიდოდა ლენინგრადისა და სტალინგრადის მოსანახულებლად. მეორე გეგმის მიხედვითაც, ძირითადად, იგივე საკითხები უნდა განეხილათ, მაგრამ არ გააფორმებდნენ ხელშეკრულებას, ამ შემთხვევაში ჭოუ ენლაის ჩამოსვლა არ იქნებოდა საჭირო, როცა ხელშეკრულების გაფორმების დრო გადაწყდებოდა მერე ჩამოვიდოდა. მაო წეტუნგმა ასევე ხაზი გაუსვა რომ ყველა საკითხი, მათ შორის მისი სამკურნალოდ წასვლა, სტალინის გადაწყვეტილებას ელოდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ მაო რეალურად დახმარების სათხოვნელად იყო სტალინთან ჩასული, მაინც ძალიან უჭირდა თავის დახრა, მეტიც თავად ფიქრობდა, რომ თვითონაც დიდი ქვეყნის პირველი პირი იყო და რუსეთს თუ საბჭოთა კავშირსაც სჭირდებოდა მასთან თანამშრომლობა და სტალინიც აუცილებლად უნდა დახმარებოდა ჩინელ კომუნისტებს. 24 დეკემბერს გამართულ შეხვედრაზე სტალინმა ჩინეთი არც კი ახსენა. მაოს იქ ყოფნას არც კი იმჩნევდა, მაო კი ბრაზს ვერ იკავებდა.

1950 წლის ახალი წლის დღესღა დათანხმდა სტალინი ახალ ხელშეკრულებას და მაოსთან მოლოტოვი და მიკოიანი გაგ-

ზავნა დეტალებზე სასაუბროდ, მაომ კი ჭოუ ენლაის ხელშეკრულებაზე მოსალაპარაკებლად ჩამოყვანა მოითხოვა. რის შემდეგაც მაომ ჩინეთის კომუნისტურ პარტიას მისწერა:

„დღეს რვა საათზე ამხანაგები - მოლოტოვი და მიკოიანი მესტუმრნენ, მათ მკითხეს ჩინეთ-საბჭოთა შეთანხმებაზე ჩემი დამოკიდებულება. მე მათ სამი ვარიანტი შევთავაზე:

ა) ხელი მოვაწეროთ ჩინეთ-საბჭოთა ურთიერთობის ახალ ხელშეკრულებას, როდესაც ჩინეთ-საბჭოთა ურთიერთობები დაფიქსირდება ახალ ხელშეკრულებაში, ჩინელი მუშები, გლეხები, ინტელექტუალები და ეროვნული ბურჟუაზიის მარცხენა ფრთა აღფრთოვანებული იქნება და შეგვეძლება ეროვნული ბურჟუაზიის მარჯვენა ფრთის იზოლირება. საერთაშორისო დონეზე, ჩვენ შეგვეძლება გვქონდეს უფრო დიდი პოლიტიკური კაპიტალი იმპერიალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობის მოსაგვარებლად და წარსულში ჩინეთსა და იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის დადებული ხელშეკრულებების გადასახედად.

ბ) ორი ქვეყნის საინფორმაციო სააგენტოებს გამოვაქვეყნებინოთ მოკლე რეპორტი, სადაც ნათქვამი იქნება მხოლოდ, რომ ორი ქვეყნის ხელისუფლებამ აზრები გაცვალა ძველ ჩინეთ-საბჭოთა მეგობრობისა და ალიანსის ხელშეკრულების შესახებ და მიაღწია შეთანხმებას მნიშვნელოვან საკითხებზე. რეპორტი უნდა იყოს დეტალების გარეშე, რაც ფაქტიურად საკითხის რამდენიმე წლით გადადებაა. თუ ასე მოხდება, მაშინ ჭოუ ენლაის ჩამოსვლა აღარ იქნება საჭირო.

გ) ხელი მოვაწეროთ დეკლარაციას, რომელიც ასახავს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ძირითად პუნქტებს, მაგრამ ეს არ იქნება ხელშეკრულება. ჭოუ ენლაის ჩამოსვლა არც ამ შემთხვევაში იქნება საჭირო.

როცა მე ეს სამი ვარიანტი შევთავაზე მოლოტოვს, მან თქვა რომ ა ვარიანტი კარგი იყო და ჭოუ ენლაის შეეძლო ჩამოსვლა, ხოლო კითხვაზე შესაძლებელია თუ არა ძველი ხელშეკრულების ახლით ჩანაცვლება, ამხანაგმა მოლოტოვმა მიპასუხა კი“ (Li, 1997 :98).

მაომ მოსთხოვა ჭოუ ენლაის 9 იანვარს უკვე მოსკოვში ყოფილიყო, ფიქრობდა 20 იანვარს შეთანხმებას მიაღწევდნენ და თებერვლის დასაწყისში ერთად დაბრუნდებოდნენ ჩინეთში.

თუმცა „ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის, ალიანსისა და ურთიერთდახმარების შეთანხმებაზე“ ხელმოწერის ცერემონიალი 1950 წლის 14 თებერვალსღა გამართეს კრემლში. ჩინეთის მხრიდან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა ჭოუ ენლაიმ, საბჭოთა კავშირის მხრიდან კი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრეი ვიშინსკიმ ხელშეკრულების როგორც რუსულ, ისე ჩინურ ვერსიას მოაწერეს ხელი. ამავე დღეს ხელი მოაწერეს ჩანგჩუნის და კრედიტის ხელშეკრულებებსაც. 17 თებერვალს მაომ და ჭოუმ დატოვეს საბჭოთა კავშირი, მაგრამ ეკონომიკურ საკითხებზე მოსალაპარაკებლად ლი ფუჩუნი, იე ძიჭუანგი და ჩინეთის სხვა წარმომადგენლები მოსკოვში დარჩნენ.

1945 და 1950 წლის ხელშეკრულებებს შორის არსებული სხვაობები

ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დაახლოებით ერთი და იმავე სახელწოდებისა და შინაარსის ხელშეკრულება ორჯერ დაიდო, პირველად 1945 წელს „ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და ალიანსის შეთანხმება“, მეორედ 1950 წელს „ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის, ალიანსისა და ურთიერთდახმარების შეთანხმება“.

ამ ორი ხელშეკრულებას შორის პირველი სხვაობა არის ის, თუ რა ვითარების ფონზე გაფორმდა თითოეული. 1945 წლის თებერვალში იალტას კონფერენციის შედეგად გადაწყვიტა საბჭოთა კავშირმა ამ შეთანხმებაზე დათანხმება, მაშინ სტალინმა მოითხოვა სახალინის კუნძული, ტალიენის, ლუშუნისა და სხვა არ გაყინვადი პორტები, შუა აღმოსავლეთისა და სამხრეთ მანჯურიის რკინიგზა და გარე მონღოლეთის დამოუკიდებლობის აღიარება, თუ ჩინეთი ამ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებდა, ის

მონაწილეობას არ მიიღებდა იაპონიის წინააღმდეგ ომში. თუ დიდი ბრიტანეთი, აშშ და ჩინეთი თანახმა იქნებოდა, მაშინ საბჭოთა კავშირი აღიარებდა ჩინეთის სუვერენიტეტს ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ტერიტორიაზე და ხელს მოაწერდა დოკუმენტს, რომელიც ჩინეთის ერთადერთ ლიდერად ძიანგ ძიეშის (ჩან კაიშის) აღიარებდა.

1945 წლის ივნის-აგვისტოში ჩინეთის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრები ვანგ შიძიე და მოლოტოვი მართავდნენ შეხვედრებს, 15 აგვისტოს კი ხელი მოაწერეს „ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და ალიანსის შეთანხმებას“, „ჩინეთის ჩანგჩუნის რკინიგზასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებას”, “ტალიენთან დაკავშირებულ ხელშეკრულებას“, „ლუშუნის შესახებ ხელშეკრულებას“ და „შეთანხმებას საბჭოთა ძალების უზენაეს მეთაურსა და ჩინეთის სამთავრობო ხელისუფლებას შორის ურთიერთობის შესახებ, საბჭოთა ჯარების სამ ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციაში შესვლის შემდეგ ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის მიერ იაპონიის წინააღმდეგ მიმდინარე ერთობლივ ოპერაციებში“. მათ ასევე გაცვალეს შენიშვნები და სხვა დოკუმენტები გარე მონღოლეთის საკითხთან დაკავშირებით. 1945 წელს ჩინეთს, ასეთ უთანასწორო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის გარდა, სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. 1950 წელს კი, მიუხედავად ეკონომიკური კრიზისისა, ჩინეთი ბევრად მარტივ ვითარებაში იყო, სამოქალაქო ომიც დასრულებული იყო და იაპონიის აგრესიაც.

მეორე განსხვავება იაპონიასთან დაკავშირებული საკითხი იყო. პირველის გაფორმება იაპონიასთან ომის პერიოდში მოხდა, მეორე შემთხვევაში იაპონიასთან ომი უკვე დასრულებული იყო. 1945 წლის და 1950 ხელშეკრულებების პირველი, მეორე და მესამე მუხლები სრულიად სხვადასხვაა. პირველში საუბარია იაპონიასთან ომის პირობებზე, მეორეში კი ნახსენებია მომავალში, თუ იაპონიასთან ომი მოუწევთ რა შეიძლება გაკეთდეს. 1945 წლის ვერსიაში პირველ პუნქტში პირდაპირ წერია, რომ იაპონიასთან ომის პერიოდში იაპონიის წინააღმდეგ უნდა ყოფილიყო

ხელმომწმერი ქვეყნები და საბოლოო გამარჯვებამდე ყველანაირი სამხედრო დახმარება უნდა გაეწიათ ერთმანეთისთვის. 1950 წლის ვერსიაში ეს პუნქტი სართოდ არ არის, აქ ჩვენ ვიპოვით მხოლოდ ამას „თუ რომელიმე ხელმომწერმა ქვეყანამ წააწყდა იაპონიის ან მისი რომელიმე მოკავშირის დამპყრობლურ შემოტევას, მეორე ხელმომწერი ქვეყანა ვალდებულია გაუწიოს მას სამხედრო დახმარება“.

ძველის მეოთხე და ახლის მესამე პუნქტები დაახლოებით ერთი და იგივეა „ხელმომწერი ქვეყნებიდან არც ერთი არ უნდა გაწევრიანდეს რომელიმე მოწინააღმდეგე ალიანსში ან რამე დაჯგუფებაში“, ახალში ამას დაემატა ბოლო წინადადება „არც ერთი ხელმომწერი მხარე არ გაწევრიანდება რაიმე ალიანსში მეორის წინააღმდეგ, არ შეუერთდება რომელიმე ჯგუფს და არ მიიღებს მონაწილეობას რაიმე ქმედებაში ან ღონისძიებაში მეორის წინააღმდეგ“.

1950 წლის მეოთხე პუნქტში წერია „ორი ხელმომწერი მხარე, მშვიდობისა და საყოველთაო უსაფრთხოების განმტკიცების ინტერესებიდან გამომდინარე, გაივლიან კონსულტაციებს ერთმანეთთან ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის საერთო ინტერესების ყველა ძირითად საერთაშორისო საკითხზე“. მსგავსი პუნქტი არ მოიძებნება ძველ ხელშეკრულებაში, სანაცვლოდ კი ვიპოვით სამ პუნქტს. 1945 წლის ხელშეკრულებაში წერია:

- მეხუთე პუნქტი, ხელმომწერი მხარეები იღებენ ვალდებულებას განავითარონ და გააძლიერონ ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის სულისკვეთებით, თანასწორობის, ორმხრივი სარგებლის, ერთმანეთის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის და ერთმანეთის შიდა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების შესაბამისად;
- მეექვსე პუნქტი, ხელმომწერი მხარეები შეთანხმდნენ, რომ ომის შემდეგ ერთმანეთს გაუწევენ ყველა შესაძლო

ეკონომიკურ დახმარებას, რათა ხელი შეუწყონ და დაა-ჩქარონ თავიანთი ქვეყნების რეკონსტრუქცია და მსოფ-ლიო კეთილდღეობა;

- მეშვიდე პუნქტი, ხელმომწერი სახელმწიფოების, როგ-ორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრების უფლებებსა და მოვალეობებზე, გავლენას არ მოახდენს ამ ხელშეკრულებაში მოცემული რომელიმე საკითხის ინტერპრეტაცია.

1946 წლის ხელშეკრულებიდან ჩანს,რომ საბჭოთა კავში-რის დამოკიდებულება და ადგილი ჩინეთზე უფრო მაღალია, ვიდრე 1950 წლის ხელშეკრულებაში.

მესამე განსხვავება კი ხელშეკრულებების ხანგრძლივობაა. პირველი მიუხედავად იმისა, რომ 30 წლის ვადით გაფორმდა, თუ ვადის გასვლამდე 1 წლით ადრე არც ერთი ქვეყანა არ განა-ცხადებდა გაუქმების შესახებ, მაშინ ის უვადო გახდებოდა; 1950 წლის ხელშეკრულებაც 30 წლით დაიდო და თუ ვადის გასვ-ლამდე 1 წლით ადრე რომელიმე მხარე გაუქმებას არ მოისუ-რვებდა, ის ავტომატურად გაგრძელდებოდა კიდევ 5 წელი.

საბჭოთა დახმარება საერთაშორისო ასპარეზზე

ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, 1953-1957 წლებში, მათი ურთიერთობა ყველა მხრივ ვითარდებოდა. ამ პერიოდში ჩინეთმა საბჭოთა კავშირის დახმარებით მოაგვარა გარკვეული წილი შიდა და გარე პრობლემები. საბჭოთა კავშირი ადრე იყო ჩართული ორმაგ ურთიერთობაში შეერთებულ შტატებთან, ამ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ იგი ეწინააღმდეგებოდა შეერთებულ შტატებს თაივანთან დაკავშირებით.

1950 წლის 25 ივნისს კორეის ომის დაწყებით ისარგებლა ჩინეთმა და თაივანის დაკავება სცადა, ორი დღის შემდეგ აშშ-მ გამოაცხადა რომ ეწინააღმდეგებოდა ჩინეთის მიერ თაივანზე ძალის გამოყენებას, 28 ივნისს კი ჭოუ ენლაიმ გამოაცხადა, რომ თაივანი ჩინეთს ეკუთვნოდა და ამას ვერაფერი შეცვლიდა.

1954 წლის 2 დეკემბერს შეერთებულმა შტატებმა და თაივანის ხელისუფლებამ ხელი მოაწერეს ურთიერთდაცვის ხელშეკრულებას, 8 დეკემბერს ჭოუ ენლაიმ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მკაცრად დაგმო შეერთებული შტატები, მეორე დღეს საბჭოთა წარმომადგენელმა გაეროს გენერალური ასამბლეის სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტს შესთავაზა შუამდგომლობა და სთხოვა გენერალურ ასამბლეას მიეღო ზომები შეერთებული შტატების წინააღმდეგ და დაადანაშაულა აშშ ჩინეთის წინააღმდეგ აგრესიაში. 1955 წლის 31 იანვარს საბჭოთა კავშირმა წარუდგინა წინადადება უშიშროების საბჭოს სახელწოდებით „ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული აქტების შესახებ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ თაივანსა და ჩინეთის სხვა კუნძულებზე“, დაგმო აშშ-ს აგრესია და მოითხოვა აშშ-ის ჯარების გაყვანა თაივანიდან და ჩინეთის სხვა ტერიტორიებიდან.

კორეის ომის დასრულების შემდეგ საერთაშორისო ვითარება გარკვეულწილად დაწყნარდა. ჩინეთმა და საბჭოთა კავშირმაც იაპონიის საკითხთან დაკავშირებით გარკვეული ზომები მიიღეს. 1954 წლის 12 ოქტომბერს ჩინეთმა და საბჭოთა კავშირმა გამოსცეს „ერთობლივი დეკლარაცია იაპონიასთან ურთიერთობის შესახებ“, რომელშიც ორი ქვეყნის მთავრობამ განაცხადა, რომ იაპონია მიიღებდა სრულ მხარდაჭერას ჩინეთისა და საბჭოთა კავშირისგან მათთან პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების დამყარების მცდელობებში. ანალოგიურად, იაპონიის მიერ გადადგმული ყველა ნაბიჯი მისი მშვიდობიანი და დამოუკიდებელი განვითარებისთვის პირობების უზრუნველსაყოფად, ასევე მიიღებს სრულ მხარდაჭერას ჩინეთისა და საბჭოთა კავშირისგან. ეს დეკლარაცია საფუძვლად დაედო ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის იმდროინდელ პოლიტიკას იაპონიის მიმართ.

მოგვიანებით, 1954 წლის 26 აპრილიდან 21 ივლისამდე, გაიმართა ჟენევის კონფერენცია. ჟენევის კონფერენცია იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პირველი ნაბიჯი საერთაშორისო

ურთიერთობებისკენ. რადგანაც ჩინელ კომუნისტებს დასავლეთის ქვეყნებთან საერთაშორისო საკითხების განხილვის გამოცდილება აკლდა, ამიტომ 1 აპრილს ჭოუ ენლაი ჯერ მოსკოვში გაფრინდა, იქ ორი დღე დარჩა, მოლოტოვის დარიგებები საერთაშორისო კონფერენციასთან დაკავშირებით მოისმინა და შემდეგ გაფრინდა ჟენევაში. ჟენევის კონფერენციაზე მოლოტოვი თითქმის ყოველდღე ხვდებოდა ჭოუ ენლაის და კოორდინაციას უწევდა მას.

ბოლო ერთობლივ დიპლომატიურ ქმედებად შეიძლება ჩაითვალოს 1971 წელს საბჭოთა კავშირის მხარდაჭერა ჩინეთის ლეგიტიმური ადგილის აღსადგენად გაეროში.

ჩინეთ-საბჭოთა ერთობლივი მენეჯმენტი

1950-1955 წლები ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ერთობლივი მენეჯმენტისა და საბჭოთა არმიის უკან გაწვევის პერიოდია. ამ დროს ერთობლივად იმართებოდა ჩინეთის ჩანგჩუნის რკინიგზა, ნავთობკომპანია, ფერადი ლითონების, სამოქალაქო ავიაციის და გემთმშენებელი კომპანიები.

ახლად დაარსებულ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას არა მხოლოდ ეკონომიკური პრობლემები ჰქონდა, არამედ აკლდა ქვეყნის მართვის გამოცდილებაც. ჩინეთის ტერიტორიაზე არსებული ბევრი პროექტი, რომელიც საბჭოთა კავშირის ხელში აღმოჩნდა ჯერ კიდევ „უთანასწორო ხელშეკრულებებით“, შემდეგ კი იაპონიის დამარცხებით, ისევ მათ ხელში რჩებოდა.

1950 წლის თებერვალში, ჩინეთი და საბჭოთა კავშირი შეთანხმდნენ, რომ გარდამავალ პერიოდში ამ ყველაფერს ერთობლივად მართავდნენ, სარგებელსაც გაინაწილებდნენ და ბოლოს დაუბრუნებდნენ ჩინეთს. 1950 წლის 25 აპრილს ჩინეთის ჩანგჩუნის სარკინიგზო კომპანია ოფიციალურად დაარსდა, როგორც ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის მიერ ჩანგჩუნის რკინიგზის ერთობლივი მართვის ინსტიტუტი. 1950-1952 წლებში აღდგა ჩანგჩუნის რკინიგზის 455 კილომეტრი ორლიანდაგიანი და 191 კილომეტრი ავტომატური ბლოკის სიგნალიზაცია, თავიდან აწა-

რმოეს 2600 სატვირთო მატარებელი, შეაკეთეს 5150 სატვირთო და 943 სამგზავრო მატარებელი.

1952 წლის 31 დეკემბრს კი დასრულდა ჩინეთისთვის ყველა რკინიგზისა და მათი ქონების გადაცემა, რომელიც მოიცავდა: 3000 კილომეტრის ორ სარკინიგზო ხაზს მანჭოულიდან სუეიფენხემდე და ხარპინიდან ტალიენ-ლუშუნამდე, ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ერთობლივი მართვის პერიოდში შემენილ, გარემონტებულ და ახლად აშენებულ აღჭურვილობას, საკომუნიკაციო ხაზებს, სარკინიგზო განშტოების ხაზებს, საზოგადოებრივ თუ ტექნიკურ შენობებსა და რეზიდენციებს, ეკონომიკურ დაწესებულებებს, შვილობილ საწარმოებსა და ინდუსტრიებს.

1951 წლის 28 ივლისს პეკინში ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობებმა ჩინეთის სამხედრო გემების წარმოებისა და გემთმშენებლობის ინდუსტრიის გასათანამედროვებლად, თანაბარი უფლებებისა და ერთობლივი აქციების პრინციპზე დაყრდნობით, ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, 25 წლის ვადით შეექმნათ ჩინეთ-საბჭოთა გემთმშენებელი კომპანია, რომელიც 1952 წლის 1 იანვარს ტალიენის ბაზაზე ოფიციალურად დაარსდა.

1954 წლის 12 ოქტომბერს ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობებმა ხელი მოაწერეს ერთობლივ კომუნიკეს, რომლის მიხედვითაც საბჭოთა მხარე 1955 წლის 1 იანვრამდე ჩინეთს ოთხი ჩინურ-საბჭოთა სააქციო საზოგადოების საბჭოთა წილების მიყიდვას დაჰპირდა. გასაყიდი ფასი იყო 400 მილიონი აშშ დოლარი, ჩინეთს შეეძლო 10 წლის განმავლობაში დაეფარა დავალიანება. საბჭოთა წილების გადაცემის შემდეგ, ჩინეთ-საბჭოთა სამოქალაქო ავიაციის კომპანია მიიღო ჩინეთის სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციამ. დანარჩენ სამი კომპანია კი იყო სინძიანგის ნავთობკომპანია, სინძიანგის ფერადი ლითონების კომპანია და ტალიენის გემთმშენებელი ქარხანა.

1955 წლის 8 მაისს, ჩინეთის ლუშუნის რაიონში განლაგებული საბჭოთა ჯარები უკან გაიწვიეს. 24 მაისს, ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის გაიმართა ლუტას რეგიონის დაბრუნ-

ების ხელმოწერის ცერემონია და 26 მაისს საბჭოთა სამხედრო მეთაურებმაც დატოვეს ეს ტერიტორია.

ჩინეთ-საბჭოთა ურთიერთდახმარება

1950 წლის თებერვალში საბჭოთა კავშირმა ჩინეთს მისცა 300 მლნ. დოლარის ოდენობის კრედიტი, რომლის ნახევარიც ჩინეთის საინჟინრო პროექტებს მოხმარდა, ხოლო მეორე ნახევარი საზღვაო აღჭურვილობას. შემდეგ ჩინეთში გამოაგზავნეს სხვადასხვა სფეროს სპეციალისტები, მიიღეს ჩინელი სტუდენტები რუსულ უნივერსიტეტებში და ა.შ. 1950-1960 წლებში საბჭოთა კავშირმა ჩინეთში 10 000-ზე მეტი სპეციალისტი გაგზავნა სხვადასხვა ვადით. 1951-1962 წლებში დაახლოებით 10 000 ჩინელი ინჟინერ-ტექნიკოსი და 1 000 მეცნიერი სწავლობდა ან პრაქტიკას გადიოდა საბჭოთა კავშირში. ამავე პერიოდში 11 000-ზე მეტმა ჩინელმა სტუდენტმა დაამთავრა საბჭოთა უნივერსიტეტები.

1954-1963 წლებში საბჭოთა კავშირმა სამეცნიერო და ტექნოლოგიური დოკუმენტების 24 000-ზე მეტი კომპლექტი, მათ შორის 1 400 მსხვილი საწარმოს საპროექტო ნახაზები ფაქტიურად უსასყიდლოდ გადასცა ჩინეთს. ასევე მისცა გრძელვადიანი შეღავათიანი სესხი 1,816 მილიონი რუბლი. საბჭოთა კავშირის დახმარებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ ჩამოაყალიბა სრული ინდუსტრიული სექტორი ჩინეთში: საავიაციო, ავტომობილებისა და ტრაქტორების, ელექტროტექნიკის, მძიმე და ზუსტი მანქანების, ინსტრუმენტების, რადიოინჟინერიისა და სხვადასხვა ქიმიური ინდუსტრიული სექტორები.

1954 წლის 12 ოქტომბერს ჩინეთმა და საბჭოთა კავშირმა ხელი მოაწერეს კიდევ ერთ პროტოკოლს საბჭოთა კავშირის დახმარების შესახებ, ჩინეთში კიდევ 15 სამრეწველო ქარხნის აშენებასა და წინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული 141 საწარმოსთვის დამატებითი აღჭურვილობის მიწოდებასთან დაკავშირებით. მოგვიანებით ამ პროექტებიდან ფაქტობრივად მხოლოდ

150 აშენდა, მათ შორის 146 პირველი ხუთწლიანი გეგმის პერიოდში. ეს 150 სამშენებლო პროექტი მოიცავდა საავიაციო, ელექტრო, იარაღის, კოსმოსური, გემთმშენებელი, ფოლადის, ქიმიური, ქვანახშირის, ნავთობის, სამედიცინო და სხვა საწარმოებს.

ჩინეთის მთავრობაც სანაცვლოდ სთავაზობდა სხვადასხვა სახის დახმარებას საბჭოთა კავშირს. კორეის ომის შემდეგ, როდესაც საბჭოთა კავშირს სავაჭრო პრობლემები წარმოექმნა სტრატეგიული მასალების შეძენაში, როგორიცაა კალის, ალუმინის, თუთიის და ა.შ. ჩინეთმა, რომელიც აწარმოებდა ამ სტრატეგიულ მასალებს, გაუგზავნა დიდი რაოდენობით იშვიათი ლითონები. 1952 წლის ზაფხულის ბოლოს ჩინეთი დათანხმდა სტალინის მოთხოვნას დაეარსებინა რეზინის ქარხანა კუნძულ ხაინანზე.

1950-იან წლებში ჩინეთმა საბჭოთა კავშირს ტექნიკის სრულ კომპლექტებში გაუცვალა დიდი რაოდენობით სასოფლო-სამეურნეო და სხვა პროდუქტები, ასევე სამრეწველო და სამთო პროდუქტები. 1950 წლიდან 1962 წლამდე ჩინეთმა საბჭოთა კავშირს მიაწოდა 2.1 მილიარდი რუბლის ღირებულების მარცვლეულის ზეთი და სხვა საკვები პროდუქტები. მათ შორის 5,76 მლნ ტონა სიო, 2,94 მლნ ტონა ბრინჯი, 1,09 მლნ ტონა მცენარეული ზეთი, 9 მლნ ტონა ხორცი და ა.შ. ჩინეთის მიერ ამავე პერიოდში მიწოდებული მინერალური პროდუქტებისა და ტექნიკის ღირებულება 1,4 მილიარდი რუბლის ღირებულებას აღემატებოდა. მათ შორის მნიშვნელოვანი ნივთები მოიცავდა: 100,000 ტონა ლითიუმის ქვიშას, 270,000 ტონა კვარცს პიეზოელექტრული დანიშნულებით, 7,730 ტონა ვერცხლისწყალს, 180,000 ტონა კალს და ა.შ. გარდა ამისა, სანამ ჩინეთი იღებდა საბჭოთა მეცნიერულ და ტექნოლოგიურ დახმარებას, ის საბჭოთა კავშირს აწვდიდა სამეცნიერო და ტექნოლოგიურ მასალებს და ჩინური აბრეშუმის წარმოების ტექნიკას.

ურთიერთდაპირისპირება და მეგობრობის დასასრული

სტალინის გარდაცვალების შემდეგ, მაოს ჰქონდა პრეტენზია თვითონ გამხდარიყო კომუნისტების ლიდერი და გაეერთიანებინა მსოფლიო კომუნისტები, ის ხრუშოვში ლიდერს ვერ

ხედავდა. მათ შორის დაპირისპირება ნელ-ნელა გაღვივდა. შესაბამისად, საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის უთანხმოებებმაც იმატა. 1958 წელი კი იყო გარდამტეხი, როდესაც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა საბოლოოდ დაიძაბა.

1957 წლის 2 ნოემბერს მაომ მეორედ დატოვა ჩინეთი და ისევ მოსკოვში გაემგზავრა. ამჯერად, მისი ვიზიტის მიზანი იყო დასწრებოდა მსოფლიო კომუნიზმისა და მუშათა პარტიის წარმომადგენელთა სხდომას. **მას უნდოდა საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებისთვის გაეზიარებინა თავისი დამოკიდებულება და ორი პარტიის სახელით შემუშავებული დოკუმენტი გადაეცათ სხდომაზე განსახილველად.** 10 ნოემბერს ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს წარუდგინა „მოსაზრებების მონახაზი მშვიდობიანი გარდამავლობის საკითხზე“, რომელშიც ყოვლისმომცველად იყო ასახული ჩინეთის კომუნისტური პარტიის შეხედულებები. მეორე დღეს ორი მხარის დელეგაციამ მოსკოვის დეკლარაციის პროექტი საერთაშორისო კონფერენციას წარუდგინა.

ამავე ვიზიტზე მაომ განაცხადა, რომ, თუ აშშ საბჭოთა კავშირს თავს დაესხმებოდა, ისინი ვერ მოიგებდნენ და მხოლოდ მსხვერპლი ექნებოდათ. მან ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის მიერ ჩინეთის კომუნისტური პარტიისთვის გაცემული 6,2 მილიარდი რუბლის კრედიტის ნაწილი ჩინეთმა დაფარა. მეორე ნაწილს -მეორე ხუთწლიანი გეგმის პერიოდში, ხოლო დანარჩენ დავალიანებას მესამე ხუთწლიანი გეგმის პერიოდში დაფარავდა.

მეორე ვიზიტის მანძილზე მაომ უკვე გამოავლინა მისი დამოკიდებულება და უკმაყოფილებაც, ხოლო ორ ქვეყანას შორის ღია დაპირისპირება დაიწყო მას შემდეგ რაც 1958 წლის 18 აპრილს საბჭოთა კავშირმა აცნობა ჩინეთის თავდაცვის მინისტრ ფენგ დეხუაის, რომ მათ სურდათ შეექმნათ სპეციალური გრძელი ტალღის რადიო გადამცემები ჩინეთში მათი წყალქვეშა ფლოტისთვის. ბიუჯეტის ღირებულება 110 მილიონი რუბლი

იყო. საბჭოთა კავშირი დაფარავდა 70 მილიონ რუბლს, ხოლო ჩინეთი დაფარავდა 40 მილიონ რუბლს. დასრულების შემდეგ, ორი ქვეყანა მათ ერთობლივად გამოიყენებდა. ისინი ასევე ითხოვდნენ ნებართვას, რომ მათ სამხედრო ხომალდებს შეძლებოდათ საწვავის შევსება და შეკეთება ჩინეთში, ასევე საბჭოთა ფლოტისთვის სანაპიროზე დასვენების ნებართვას. მაგრამ ჩინეთმა ეს თავის სუვერენიტეტში ჩარევად მიიჩნია და უარი განაცხადა. მაომ თქვა: „არა. ბრიტანელები და სხვა უცხო ქვეყნის წარმომადგენლები საკმარისად დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდნენ ჩვენს ტერიტორიაზე. ჩვენ აღარ დავუშვებთ, რომ ვინმემ ჩვენი მიწა საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენოს“ (Zhang, 2009:3)

1959 წლიდან, საბჭოთა კავშირი ჩინელი კომუნისტების ურთიერთდაპირისპირებასაც ცდილობდა, განსაკუთრებით, თავდაცვის მინისტრის ფენგ დეხუაისა და მაო წეტუნგის. ამავე წლის ივნისში, როცა ფენგ დეხუაი დაბრუნდა ჩინეთში, მოსკოვმა ცალმხრივად გააუქმა 1957 წლის ოქტომბერში ხელმოწერილი თავდაცვის ახალი ტექნოლოგიების მიწოდების შეთანხმება, რომლის თანახმად, საბჭოთა კავშირს ჩინეთისთვის უნდა მიეწოდებინა ატომური ბომბების ნიმუშები, სამეცნიერო მონაცემები და ტექნიკური პერსონალი. 1959 წელს ასევე შეიზღუდა სამეცნიერო და ტექნოლოგიური დაზვერვის გადაცემა. საბჭოთა კავშირმა ტექნიკოსები და სპეციალისტები ჩინეთიდან გაიყვანა და მათ თან წაიღეს საინჟინრო ნახაზები, მათ შორის იყო ატომური ბომბის გეგმაც.

მაო ფიქრობდა, სოციალისტებსა და კაპიტალისტებს შორის ომი გარდაუვალი იყო. მისი აზრით, პირველმა მსოფლიო ომმა ბოლშევიკები წარმოშვა, მეორემ ჩინური კომუნისტური პარტია, მესამეს კი აშშ უნდა დაემარცხებინა და გაენადგურებინა კაპიტალისტები. ის აცხადებდა, მიუხედავად მოსალოდნელი დიდი მსხვერპლისა, პეკინს ომის არ ეშინოდა. ხრუშოვმა მისი მოსაზრება გააკრიტიკა, რის გამოც მაომ ის მოღალატედაც კი გამოაცხადა. მათ შორის პრობლემის მოსაგვარებლად 1960 წლის

ნოემბერში მოსკოვში გაიმართა 81 კომუნისტური პარტიის სხდომა. 1960 წლის 6 დეკემბერს სხდომის მიერ გამოტანილ დასკვნაზე, რომელიც არ ეთანხმებოდა მაოს იდეას პეკინმა იძულებით მოაწერა ხელი.

მათი დაპირისპირება აისახა სხვა სექტორებშიც, მაგალითად, 1962 წელს მოსკოვის ცალმხრივ ქმედებებში კუბის სარაკეტო კრიზისის დროს; მოსკოვის მიერ ბირთვული გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულების მიღება ჩინელებთან კონსულტაციის გარეშე და მისი უარი ჩინეთის მხარდაჭერაზე 1962 წლის ჩინეთ-ინდოეთის სასაზღვრო ომში. 1963 წლის 8 მარტს პეკინმა გამოაქვეყნა რუსეთ-საბჭოთა მიერ წართმეული მიწების სია, მათ შორის იყო ციმბირის სამხრეთ ნაწილი, პინგხაის პროვინცია და რუსეთის 500 000 კვადრატული კილომეტრის ტერიტორია. პეკინმა მოთხოვა მოსკოვს წერილობით ეღიარებინა ამ მიწების მათ მიერ მიტაცება და უთანასწორო, არალეგალური ხელშეკრულებებით მითვისება. თუმცა საბჭოთა კავშირმა, რა თქმა უნდა, უარი განაცხადა ამის აღიარებაზე.

1964 წლის 25 თებერვალს კვლავ დაიწყეს საზღვართან დაკავშირებით მოლაპარაკებები. ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის მტრობა იმდენად გამძაფრდა, ხრუშოვმა განიხილა ჩინეთის ატომური ბომბის ბაზების განადგურება. მაომ კი გარე მონღოლეთის ანექსიით დაიმუქრა, რათა თვალსაჩინო ყოფილიყო საბჭოთა კავშირის სისუსტე, რომელსაც თავისი აზიური სატელიტ ქვეყნის დაცვაც კი აღარ შეეძლო. ხრუშოვის ხელისუფლებიდან ჩამოცილების შემდეგ, ბრეჟნევმა მოახერხა ჩინეთ-საბჭოთა ომის არიდება, თუმცა 15 ოქტომბერს მათ შორის ურთიერთობა საერთოდ შეწყდა. მიუხედავად მოსკოვის მცდელობისა არ დახმარებოდა ჩინეთს ატომური ბომბის შექმნაში, 16 ოქტომბერს ჩინეთმა წარმატებით დატესტა თავისი პირველი ატომური ბომბი.

ჩინური წყაროების თანახმად, 1964 წლიდან 1969 წლის მარტამდე საბჭოელებმა 4 189-ჯერ დაარღვიეს ჩინეთის საზღვარი. 2 და 14-15 მარტს მოხდა მასშტაბური შეტაკება ჩინელ და

საბჭოთა სამხედროებს შორის მდინარე უსურის ჭენგპაოს (დამანსკი) კუნძულზე, შემდეგ ხეილუნგძიანგის მდინარეში არსებულ პაისიეს კუნძულზე, სინძიანგის საზღვარზე. საომარი ვითარება კვლავ განახლდა. პეკინმა თავიდან დაიწყო საზღვრის საკითხზე საუბარი, თუმცა ამ ეტაპზე ტერიტორიების უკან დაბრუნებას არ ითხოვდა რუსეთისგან; მაგრამ ითხოვდა ძველ ხელშეკრულებებზე გადახედვას, საზღვრის პრობლემის განხილვას და ჩინეთზე უთანასწორო ხელშეკრულებებით მიყენებული ზიანის აღიარებას. ჯერ რუსეთისა და შემდეგ საბჭოთა კავშირის მიერ მითვისებული მიწების უპირობო დაბრუნებას, მათ შორის მდინარე უსურის და ხეილუნგძიანგის მდინარეში არსებული 700 კუნძულიდან 600-ს, რომელთა საერთო მიწის ფართობი დაახლოებით 400 კვადრატული მილი იყო, დამატებით 12,000 კვადრატული მილი მიწა სინძიანის პამირის მთებში. თუმცა საბჭოთა კავშირი არ აღიარებდა არც ხელშეკრულებების უთანასწორობას და არც ზემოთ ხსენებული მიწების არალეგალურ მითვისებას.

საბჭოთა კავშირმა ნელ-ნელა გაზარდა თავისი არმიის რაოდენობა ჩინეთის მოსაზღვრე ტერიტორიებზე. 1973 წელს კი საბჭოთა ჯარისკაცების რაოდენობამ ჩინეთის საზღვრებთან მილიონს მიაღწია, მათ აღჭურვილობაში ასი ანტიბალისტიკური რაკეტა და ბირთვული იარაღიც შედიოდა, წყნარ ოკეანეში კი 150-მდე სამხედრო ხომალდი განალაგა. ჩინეთმაც მილიონამდე ჯარისკაცი განათავსა საზღვარზე, მცირე რადიუსის რაკეტები განალაგა ვლადივოსტოკის, ირკუტსკისა და სხვა საბჭოთა ქალაქების საზღვრის მახლობლად, ხოლო საშუალო მანძილის რაკეტები, რომელთა მანძილი 1 200-დან 2 300 მილამდე იყო მოამზადა ციმბირსა და საბჭოთა ცენტრალურ აზიაში სამიზნეებზე დასარტყმელად. პარალელურად ჩინეთი ცდილობდა აშშ-სთან და იაპონიასთან ურთიერთობის დალაგებას, მისი მიზანი იყო თავიდან აეცილებინა შეთქმულების შესაძლებლობა შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის.

1973 წლის ივნისში მოსკოვმა პეკინს აგრესიის წინააღმდეგ შეთანხმება შესთავაზა, თუმცა პეკინმა უარი განაცხადა. ერთი

წლის შემდეგ, 1974 წლის ნოემბერში უკვე ჩინეთმა შესთავაზა იმავე ხელშეკრულების გაფორმება საბჭოთა კავშირს. ჩინეთის ლიდერები (მაო წეტუნგი, ჭოუ ენლაი, ჭუ დე, ქანგ შენგი და ტენგ სიაოფინი) შეთანხმდნენ საბჭოთა კავშირთან გაეგრძელებინათ სავაჭრო და სატრანსპორტო ურთიერთობა, თუმცა პოლიტიკურად საწინააღმდეგო მიმართულებით გააგრძელებდნენ სვლას. 1980 წელს ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ხელშეკურლებას ვადა ამოეწურა, ჩინეთმა განახლებაზე უარი განაცხადა. მიუხედავად ომის კრიზისის გადალახვისა, ორ ქვეყანას შორის დაძაბულობა გაგრძელდა და მათი მეგობრობაც დასრულდა.

დასკვნა

ორი ქვეყნის ურთიერთობა, რაც არ უნდა მეგობრული ფორმით იყოს წარმოჩენილი, ყოველთვის ეფუძნება სტრატეგიულ გათვლებს, რაც დაკავშირებულია ეროვნულ ინტერესებსა და უსაფრთხოების მოთხოვნებთან. ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრობა ამის თვალსაჩინო მაგალითია. ორმხრივი თანამშრომლობა არ ყოფილა მხოლოდ იდეოლოგიური ერთსულოვნების შედეგი, არამედ ორი დიდი ქვეყნის საჭიროებებზე აგებული რეალობა. ჩინეთისთვის, რომელიც მეორე მსოფლიო ომისა და ხანგრძლივი სამოქალაქო დაპირისპირების შემდეგ მძიმე ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო მხარდაჭერა აღდგენის, ინდუსტრიალიზაციისა და საერთაშორისო აღიარების გზაზე. საბჭოთა კავშირისთვის კი ჩინეთთან პარტნიორობა წარმოადგენდა სტრატეგიულ ბერკეტს გლობალურ დაპირისპირებაში, განსაკუთრებით აშშ-ს წინააღმდეგ, იმ გათვლით, რომ პოტენციური მსოფლიო კონფლიქტის შემთხვევაში ჩინეთი შეიძლებოდა მძლავრი სამხედრო და დემოგრაფიული მხარდაჭერის წყაროდ ქცეულიყო.

1950 წელს მხარეებმა გააფორმეს მეგობრობის, ალიანსისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, რომელიც, სხვათა შორის, სამხედრო თანამშრომლობის ვალდებულებებსაც ითვა-

ლისწინებდა. მიუხედავად იდეოლოგიური სიახლოვისა, ურთიერთობების განვითარების პროცესში გამოიკვეთა ასიმეტრიული ხასიათი: საბჭოთა კავშირი ჩინეთს არ აღიქვამდა თანასწორ პარტნიორად და აქტიურად იყენებდა საკუთარ გავლენასა და ძალაუფლებას რეგიონში, რაც დროთა განმავლობაში იწვევდა უკმაყოფილებას ჩინურ ელიტაში. ჩინეთის ტრადიციული ეთნოცენტრისტული ხედვები და საკუთარი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის განცდა წინააღმდეგობაში მოდიოდა მოსკოვის დომინანტურ როლთან.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა მხარე აქტიურად აფიშირებდა ჩინეთისათვის გაწეულ დახმარებებს, განსაკუთრებით ტექნიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, მათ მიღმა მნიშვნელოვან დათმობებს ჰქონდა ადგილი. მაო ძედუნი იძულებული გახდა ეღიარებინა გარე მონღოლეთის დამოუკიდებლობა, დროებით დაეთმო სინძიანგის რესურსები, ჩანგჩუნის რკინიგზა და პორტები ლუშუნსა და ტალიენში. კორეის ომში ჩინეთმა გაიღო სერიოზული ადამიანური და სამხედრო რესურსი, მაომ სწორედ ამ ომში დაკარგა ვაჟი. ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ დახმარება უსასყიდლო არ ყოფილა.

მიმდინარე დაძაბულობის ფონზე ჩინეთ-საბჭოთა ურთიერთობამ თანდათან დაკარგა პარტნიორული ხასიათი და 1980 წელს, ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ, ფორმალურადაც დასრულდა. მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის ომი არ დაწყებულა, ე.წ. „მეგობრობამ“ ადგილი დაუთმო კონკურენციასა და სტრატეგიულ სიფრთხილეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

Barbara W. T. (1972). If Mao had come to Washington: An Essay in Alternatives. Foreign Affairs. 56.

Chen, Z. Eluosijiemi dangan xuanpian zhongxuguanxi[selected Decrypt files of Russia, China-Soviet relations]. Volume 1.1945.1-1949.2.16.

Chen, Z. Eluosijiemi dangan xuanpian zhongxuguanxi [selected Decrypt files of Russia, China-Soviet relations]. Volume 3.1950.8-1951.8.113-114,407.

Chen, Z. Eluosijiemi dangan xuanpian zhongxuguanxi [selected Decrypt files of Russia, China-Soviet relations]. Volume 5.1954.2-1955.7.229.

Chen, Z. Eluosijiemi dangan xuanpian zhongxuguanxi [selected Decrypt files of Russia, China-Soviet relations]. Volume 6.1955.8-1956.9.317.

Chen, Z. Eluosijiemi dangan xuanpian zhongxuguanxi [selected Decrypt files of Russia, China-Soviet relations]. Volume 7.1956.10-1958.3. 348-349,364.

Chen, Z. Eluosijiemi dangan xuanpian zhongxuguanxi [selected Decrypt files of Russia, China-Soviet relations]. Volume 9.1959.10-1962.12.165-178.

Chen, Z. Eluosijiemi dangan xuanpian zhongxuguanxi [selected Decrypt files of Russia, China-Soviet relations]. Volume 12.1969.7-1991.12.259-289.

December 16, 1949，Record of Conversation between I.V. Stalin and Chairman of the Central People's Government of the People's Republic of China Mao Zedong on 16 December 1949.

Edgar Snow. (1961). Red Star over China. New York.96.

Feng H.L. (2018). 20 Shiji 50 Niandai chuqi Mao Zedong "yibiandao" waijiao zhengce de yuanyin ji pingjia. [the reasons and evaluation of Mao Zedong's "leaning to one side" foreign policy in the early 1950s.] Heilongjiang university. Bridge of century. 6-7.

James B.H. (1972). The Long March to Power.New York. 379.

Khrushchev, N. (1972). Khrushchev Remembers the last Testament. Canada. 250-266, 268-270, 283-289.

Koloskov B.T. (1980) Zhongsuguanxi 1945-1980. [Sino-Soviet relations 1945-1980]. Sanlianshudian. 40-46.

Li F.B. Mao Zedong and Stalin Talk about Political Strategy. 1997. Lilunshentao Vol 2. Harbin. 97-98.

report by John S. Service on a conversation with Mao Tse-tune March 13 1945.Foreign Relation of the United States, Diplomatic Papers 1945. VoL VII.The Far East china. Washington. 1969. 273.

Selected Works of Mao Zedong. (1991)Vol 2. Renminchubanshe.657-658.

Shen J.R.(1992). Dangdai Zhongguo Dui Wai Maoyi.Contemporary China's Foreign Trade. Volume 1. Dangdai Zhongguo chubanshe. 258-260.

Telegram from Mao Tse-tung to Liu Shaoqi.December 18.1949.2.

Telegram from Mao to Chinese Communist Party's Central Committee. January 2.1950.

Wang Y.J., Song X.W., Lang Y.M. (2013). Mao Zedong queli „yibiandao" duiwaijiao Zhengce Yuanyin Tansuo. [A Deep Analysis of the Reasons Why Mao Zedong Established the „Leaning to One Side" Foreign Policy] Journal of Beijing University. Volume 14, Issue 5.72-75.

Yang Sh.B., Liang J.M., Yang J. (2003). Dangdai Zhongguoshi shilueshu. A Brief Account of Contemporary Chinese Historical Events. Zhejiang Renmin chubanshe 35-78.

Xu Zh.Y. (2008). Zhongguojindaishi 1600-2000 Zhongguo de fengdou. Modern Chinese History: The Struggles of China from 1600 to 2000. Houlang Publishing Company.119-130,440-519.

Zhang Zh.J.(2009). Zhongejiemi dangan: Mao Zedong si hui Heluxiaofu. China and Russia reveal secret archives: Mao Zedong's four meetings with Khrushchev. Wenshijinghua. 3.

Zhonghua renmin gongheguo suweiai shehuizhuyi gongheguo lianmeng youhao tongmeng huzhu tiaoyue[Treaty of Amity and Alliance between the People's Republic of China and the Union of Soviet Socialist Republics].1950.

Zhongsu youhao tongmeng tiaoyue quanwen [The Treaty of Friendship and Alliance between China and the Soviet Union].1945.

Галенович Ю.М. (2009).Войны нового Китая и его дипломатическая служба.Восточная Книга.Москва.104-160.

Договор о дружбе, союзе и взаимной помощи между Союзом Советских Социалистических Республик и Китайской Народной Республикой.1950.

Соглашение между Союзом Советских Социалистических Республик и Китайской Народной Республикой о Китайской Чанчуньской железной дороге, Порт-Артуре и Дальнем и Соглашение между Правительством Союза Советских Социалистических Республик и Центральным Народным Правительством Китайской Народной Республики о предоставлении кредита Китайской Народной Республике. 1950.

Галенович Ю.М. (2009).Сталин и Мао _ Два Вождя.Восточная Книга.Москва.257-300, 343-417.